საქართველოს
პარლამენტი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღ. 26

№ 6670/4-3

15 07 2015 წელი

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 158
თარიღი: 17 07 2015 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS)

ვიცე-დირექტორს

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

თქვენი 06.07.2015 N14289 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ, „ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების თაობაზე" (N07-3/444 21.05.2015) კანონპროექტის სრული პაკეტი ყველა გამომდინარე კანოპროექტით განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე (www.parliament.ge) განმარტებითი ბარათით, შესაბამისი უწყებებისა და საპარლამენტო კომიტეტების დასკვნებით, კენჭისყრის შედეგებით, ასევე პირველი მოსმენისას გამოთქმული შენიშვნების ამსახველი ფურცლით, რომელშიც დეტალურად მოცემულია ყველა გამოთქმული შენიშვნა მათი გათვალისწინების მდგომარეობით.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონპროექტის დახვეწის მიზნით აქტიურად იყო და არის ჩართული მრავალი დაინტერესებული საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაცია, (მაგალითისთვის ბიზნესომბუდსმენი, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, საქართველოს ბანკების ასოციაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები თუ სხვა) რომელთა მოსაზრებები პირველი მოსმენისას მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული და მეორე მოსმენით განხილვისათვის კანონპროექტის მომზადებაშიც ღებულობდნენ მონაწილეობას რაც ასახული იქნა კანონპროექტში. სწორედ მათი შენიშნების გათვალისწინებით თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით მნიშვნელოვნად შეიცვალა პროექტი.

სულ საერთო ჯამში კანონპროექტთა პაკეტზე პირველი მოსმენისათვის კომიტეტებისა და ექსპერტების მხრიდან გამოთქმული 67 შენიშვნიდან გათვალისწინებული იქნა 65 შენიშვნა მათ შორის მეორე მოსმენისათვის მეტად პრინციპული საკითხებზეც მაგალითისთვის მიღწეული შეთანხმებით ეროვნული ბანკის შიდააუდიტორული სამსახური განახორციელებს როგორც ეროვნული ბანკის ასევე სააგენტოს აუდიტს, რომელიც მოიცავს როგორც შიდა კონტროლის ასევე საფინანსო ანგარიშგებების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების აუდიტს. ასევე ყოველწლიურად საფინანსო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 თვისა ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ფულად-საკრედიტო, სავალუტო

პოლიტიკის განხორციელების შესახებ, ხოლო სააგენტო თავისი საქმიანობისა და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

რაც შეეხება კანონპროექტის მიზნებს, ცვლილებების მიზანია საფინანსო-ზედამხედველობის ფუნქციების გაძლიერება, გამჭვირვალობის ზრდა და ზედამხედველობის მიმართ ნდობის ამაღლება. პროექტით მოხდება მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისა და დარგობრივი ეკონომიკური სპეციალიზაციის გამიჯვნა, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. ასევე ცვლილელებით არამარტო საბანკო, არამედ მთლიანად საფინანსო სექტორის განვითარებაზე მოხდება უფრო მეტი კონცეტრაცია, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას.

უნდა აღვნიშოთ რომ, კომიტეტი მიესალმება კანონპროექტის განხილვაში რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის ჩართვას და მიაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი ჩართულობითა და მჭიდრო თანამშრომლობით შეიძება კანონპროექტის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავება, მოხარული ვართ და მნიშნველოვნად მიგვაჩნია თქვენი ორგანიზაციის დაინტერესება რაც ხარისხობრივად აამაღლებს პროცესის გამჭირვალობას.

პატივისცემით,

თამაზ მეჭიაური

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარე

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ “
საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართელოს კანონის პროექტებს:
„კომერციული ბანკების საქამიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ საქართველოს სისხლის
სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „
საქართელოს ორგანულ კანონში “საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“,
საქართველოს კანონების პროექტებს: „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარამენტის რეგლამენტის პროექტს “ საქართველოს პარლამენტის
რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს კანონების პროექტებს: „ არასაბანკო
სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე“, „ სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
„მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“,
საგადახდო სისტემებისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
თეტანის თაობაზე“, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

კანონპროექტებზე განხილვისას გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი

შენიშვნის ავტორი	შენიშვნის შინაარსი	გათვალისწინების მდგომარეობა
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	სააგენტოს დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად უნდა ჰქონდეს საჭირო ინფორმაციის დაუბრკოლებლად მოპოვების საშუალება და მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესაძლებლობა, ისევე როგორც ეს დადგენილია ეროვნული ბანკის შემთხვევაში.	გათვალისწინებულია
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	ვინაიდან სააგენტო არის ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ახორციელებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობას (მათ შორის, კომერციულ ბანკებში და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტების უსაფრთხოების დაცვას). მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ფუნქციის უზრუნველსაყოფად სააგენტო ჩართული იყოს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დადგენის პროცესში, ისე რომ შეუნარჩუნდეს დამოუკიდებლობა ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის გატარებაში. ეროვნული ბანკის სისტემაში შეიქმნას მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების კომიტეტი, რომლიც დაკომპლექტდება პარიტეტული წესით. სადაც გადამწყვეტი იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხმა.	გათვალისწინებულია
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის	კომერციული ბანკის ლიკვიდობის საკითხის დადგომისას, აუცილებელი იქნება მყისიერი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, სააგენტოს უფლება უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღოს ბოლო ინსტანციის სესხის გაცემის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც თავის მხრივ ემსახურება როგორც შეანაბრეთა, ასევე კომერციული ბანკების ინტერესების დაცვას.	გათვალისწინებულია

კომიტეტი		
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	მიზანშეწონილია, კანონპროექტით განისაზღვროს სააგენტოს საქმიანობისა და სააგენტოს თანამშრომლების პასუხისმგებლობის იგივე სტანდარტი, როგორიც დადგენილია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლით.	გათვალისწინებულია
დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი	ვინაიდან სააგენტო შედის ეროვნული ბანკის სისტემაში, მისი შიდა კონტროლიც უნდა განხორციელდეს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ განსახორციელებელი ცვლილებები ემსახურება საფინანსო ზედამხედველობის ფუნქციების გაძლიერებას, გამჭირვალეობის ზრდას და მის მიმართ ნდობის ამაღლებას	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ცვლილება შედის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლში, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეროვნული ბანკის ნაცვლად, განისაზღვრება საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს სხვა ქვეყნების შესაბამის ზედამხედველობის ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხი. თუმცა, წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, ორგანულ კანონს ემატება 47^1 მუხლი, რომელიც ასევე აწესრიგებს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს სხვა ქვეყნების შესაბამის ზედამხედველობის ორგანოებთან თანამშრომლობის საკითხს. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი და აგრეთვე გაუგებარია კანონპროექტში ერთი	გათვალისწინებულია

	და იმავე საკითხის მომწესრიგებელი იდენტური ნორმების არსებობის აუცილებლობა.	
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტში, რომელიც აწესებს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს თავმჯდომარის, მოადგილისა და სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა სამსახურებრივ შეზღუდვას. თუმცა, წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ორგანულ კანონს ემატება 47[3] მუხლი, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, ხოლო სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობას, ორგანული კანონის პროექტი არ ითვალისწინებს. ორგანული კანონის პროექტი არ ითვალისწინებს აგრეთვე, სააგენტოს უფროსის მოადგილის თანამდებობას. ანალოგიური შეეხება ასევე, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტით ჩამოყალიბებულ ორგანული კანონის 48-ე მუხლის მე-9 პუნქტსაც.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს ემატება 47[2] მუხლი, რომლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის მიერ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრების წარდგენისა და არჩევის საკითხს, ხოლო „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლი, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ სააგენტოს საბჭოს წევრების არჩევის წესი და პროცედურები. მიუხედავად აღნიშნულისა, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი არ შეიცავს მითითებას, რომლის თანახმად, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებს საქართველოს პარლამენტი ირჩევს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს ემატება 47^2 მუხლი, რომლის მე-10 პუნქტის მიხედვით, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრი შეიძლება გადადგეს თანამდებობიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე, ხოლო საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი შეიცავს შესაბამის ნორმას, რომლითაც გათვალისწინებულია სააგენტოს საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადადგომის პროცედურები. აღნიშნული მუხლის მე-9 პუნქტით კი მოწესრიგებულია თანამდებობრივი სარგოს გაცემის პირობები საბჭოს წევრებისათვის მათი სააგენტოს საბჭოს წევრობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში, თუმცა, არც „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი და არც საკანონმდებლო პაკეტით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს სააგენტოს საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლებსა და პროცედურებს.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი ირჩევს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უმაღლესი ორგანოს - საბჭოს - წევრებს. საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭო, როგორც სააგენტოს უმაღლესი ორგანო, მითითებულია აგრეთვე ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი არეგულირებს სააგენტოს საბჭოს საქმიანობის სფეროს, ფუნქციებს, შემადგენლობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, სააგენტოს საბჭო, როგორც სააგენტოს უმაღლესი ორგანო განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტით, ხოლო „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს, განსხვავებით ეროვნული ბანკის საბჭოსაგან, რომელიც, როგორც ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანო, განისაზღვრება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით.	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებს ირჩევს 7 წლის ვადით, თუმცა, ამავე საკანონმდებლო პაკეტის „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, ორგანულ კანონს ემატება 47² მუხლი, რომლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია სააგენტოს საბჭოს ზოგიერთი წევრი აირჩიოს 7 წელზე ნაკლები ვადით. თუმცა აღნიშნული გათვალისწინებული არ არის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტით, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი სააგენტოს საბჭოს ყველა წევრს ირჩევს 7 წლის ვადით და არავითარ გამონაკლისს არ ადგენს. აქედან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი არ არის უფლებამოსილი 7 წელზე ნაკლები ვადით აირჩიოს სააგენტოს საბჭოს რომელიმე წევრი. ამასთან, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი არ განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში და ვინ იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს საბჭოს წევრის 7 წელზე ნაკლები ვადით არჩევის საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე რა პირობების არსებობის შემთხვევაში ან რა კრიტერიუმის საფუძველზე უნდა მოხდეს სააგენტოს საბჭოს რომელიმე წევრის არჩევა 7 წელზე ნაკლები ვადით.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმად, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს 2 წევრის წარდგენის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, 2 წევრის ფრაქციას, 2 წევრის პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს. აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარეობს თითქოს სააგენტოს 2 წევრის წარდგენის უფლება აქვს თითოეულ საპარლამენტო ფრაქციას, თუმცა ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობს სააგენტოს საბჭოს წევრობის 6 კანდიდატი. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტში რეგისტრირებული ყველა ფრაქცია წარადგენს სააგენტოს	გათვალისწინებულია

	საბჭოს წევრობის მხოლოდ ორ კანდიდატს. გაუგებარია, თუ რა პრინციპით ხდება ყველა საპარლამენტო ფრაქციისათვის სააგენტოს საბჭოს წევრობის 2 კანდიდატის წარდგენის უფლებამოსილების მინიჭება, როგორ და რა რეგულაციების გათვალისწინებით უნდა მოხდეს მათ შორის შეთანხმება ან თუ ფრაქციებს შორის საბჭოს წევრთა კანდიდატურებთან დაკავშირებით შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, როგორ მოხდება სააგენტოს საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენა. ამასთან, იმავე რაოდენობის კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილება გააჩნია პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს, რომელსაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წარმოადგენენ მხოლოდ ის პარლამენტის წევრები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. გარდა იმისა, რომ პარლამენტის წევრთა ექვსკაციანი ჯგუფიც იმდენივე კანდიდატს წარადგენს, რამდენსაც ყველა საპარლამენტო ფრაქცია ერთად, გაუგებარია თუ ვის მიერ მოხდება აღნიშნული 2 კანდიდატის წარდგენა და როგორ დაკომპლექტდება საბჭოს შემადგენლობა თუ იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში 6 წევრზე ნაკლებია, მაშინ როდესაც აღნიშნული ნორმით განსაზღვრული 6 კანდიდატიდან სააგენტოს წევრობის 2 კანდიდატის წარდგენის უფლება მხოლოდ პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს გააჩნია.	
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ახალი რედაქციით ყალიბდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად არჩეულად ჩაითვლება სააგენტოს საბჭოს წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. თუმცა, ამავე მუხლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობს ზუსტად იმდენი კანდიდატი, რამდენი წევრის არჩევაც უნდა განხორციელდეს და შესაბამისად გაუგებარია „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით როგორ უნდა მოხდეს კანდიდატების არჩევა.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, თუ არჩევნებში მონაწილე 6 კანდიდატიდან რომელიმე მათგანმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, პარლამენტის თავმჯდომარე, ფრაქცია, პარლამენტის წევრთა ექვსკაციანი ჯგუფი უფლებამოსილია პარლამენტს იგივე კანდიდატურა წარუდგინოს კენჭისყრიდან 10 დღის შემდეგ. გაუგებარია რა მიზანს ემსახურება იგივე კანდიდატურის წარდგენა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ჩანაწერით სააგენტოს საბჭოს	გათვალისწინებულია

	წევრის წარმდგენი სუბიექტი უფლებამოსილია არც წარადგინოს იგივე კანდიდატურა, თუმცა ამავე დროს აღნიშნული რეგულაცია სააგენტოს საბჭოს წევრის წარმდგენ სუბიექტს ახალი კანდიდატურის წარდგენის საშუალებას არ აძლევს.	
საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცვლილება შედის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 213-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით თუ არჩევნებში ვერ აირჩა სააგენტოს საბჭოს წევრთა საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი კენჭისყრა. გაუგებარია, რა იგულისხმება ხელახალი კენჭისყრის გამართვაში. თუ წარდგენილი კანდიდატები ან რომელიმე მათგანი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას ხელახალი კენჭისყრის ჩატარება ყოველგვარ სამართლებრივ დატვირთვას მოკლებულია. შესაძლებელია კანონპროექტის ინიციატორი, კენჭისყრის განმეორებით ჩატარების ნაცვლად, გულისხმობს სააგენტოს საბჭოს წევრის არჩევის მიზნით, რეგლამენტის პროექტით დადგენილი პროცედურების ახლიდან გავლას, რაც შესაბამისად უნდა აისახოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტში.	გათვალისწინებულია
	შენიშვნები „ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით წარმოდგენილია მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის ახალი რედაქცია, რომლიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი (საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრი) გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებისა, არ არის საჯარო მოსამსახურე.". ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი ნორმა რედაქციულად დასახვეწია, ვინაიდან მისი ფორმულირებიდან გამოდის თითქოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრობა იმავდროულად გულისხმობდეს სააგენტოს საბჭოს წევრობას. ამავდროულად ვფიქრობთ, რომ თუ სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარეს ეენება საჯარო მოსამსახურის სტატუსი, იმ სააგენტოს უფროსი, რომელშიც შედის აღნიშნული საბჭო ასევე უნდა წარმოადგენდეს საჯარო მოსამსახურეს;	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადება ნაცვლად წარმოდგენილი რედაქციისა შემდეგნაირად უნდა იყოს ფორმულირებული: „მე-15 მუხლს პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ¹“ ქვეპუნქტი“	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	იურიდიული ტენიკის თვალსაზრისით, პროექტის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება, ნაცვლად წარმოდგენილი რედაქციისა, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ბ) მე-6-მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-10 პუნქტით წარმოდგენილი მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „6. სააგენტოს უფროსს, უფროსის მოადგილესა და ... “	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-10 პუნქტით წარმოდგენილი მე-20 მუხლის მე-7 პუნქტში საუბარია იმაზე, რომ სააგენტოს თანამშრომელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიიღოს რაიმე ქონებრივი სიკეთე ან შეღავათი ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ მყოფი პირისაგან. ვფიქრობთ, რომ მექანიკური შეცდომის საფუძველზე აღნიშნულ ნორმაში დარჩა ჩანაწერი - „ეროვნული ბანკის ზედამხედველობისა და რეგულირების ქვეშ მყოფი პირი“ ნაცვლად იმისა, რომ მიეთითოს სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირი;	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-12 პუნქტით ორგანულ კანონს ემატება 46[1] მუხლი, რომელიც შეეხება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს. მუხლის შინაარსის მიუხედავად, მოხდება რა მისი 46-ე მუხლის შემდეგ დამატება, ის ადგილს დაიკავებს ორგანული კანონის VII თავში, რომელიც შეეხება ეროვნული ბანკის ურთიერთობას სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და არა VIII თავში, რომელიც ეთმობა საფინანსო სექტორის ზედამხედველობას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ 46[1] მუხლით წარმოდგენილი ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს 47-ე მუხლის ნუმერაციით, ხოლო დღეს მოქმედი 47-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის დამატება უნდა მოხდეს 47[1] მუხლად.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-13 პუნქტით ცვლილება შედის 47-ე მუხლში, რომლის სათაური შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული - „მუხლი 47. სააგენტოს მიზნები და ამოცანები საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კუთხით" . აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიზანზე საუბარია 46[1] მუხლის პირველ პუნქტში. გარდა აღნიშნულისა, 47-ე მუხლი შინაარსობრივად ეხება სააგენტოს ამოცანებს და არა მიზნებს	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	47[2] მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ სააგენტოს საბჭოს 2-2 წევრის (გარდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა) წარდგენის უფლება აქვთ პარლამენტის თავმჯდომარეს, ფრაქციას, პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს. უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვლად წევრისა, მითითებული უნდა იყოს წევრობის კანდიდატი. ფრაქციასთან მიმართებაში უმჯობესია დაკონკრეტდეს, რომ საუბარია საპარლამენტო ფრაქციაზე. რაც შეეხება ექვსკაციან ჯგუფს, უნდა მიეთითოს, რომ საუბარია ისეთ ექვსკაციან ჯგუფზე, რომელიც არ შედის არცერთ ფრაქციაში, თუმცა ცალკე განხილვის საგანია თავად ის საკითხი თუ რამდენად მიზანშეწონილია, რომ ფრაქციასა და პარლამენტის წევრთა ექვსკაციან ჯგუფს, რომელიც არ შედის არცერთ ფრაქციაში გააჩნდეს სააგენტოს საბჭოს წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლებამოსილება. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ საბჭოს წევრობის კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ საბჭოში იყვნენ მხოლოდ სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები. გარდა აღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ შემუშავებულ უნდა იქნეს კანდიდატების წარდგენის სხვა მექანიზმი და არა წარმოდგენილი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს საპარლამენტო სუბიექტების მიერ შერჩეული კანდიდატების პარლამენტის მიერ არჩევას.	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	47[2] მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია სააგენტოს საბჭოს ზოგიერთი წევრი აირჩიოს 7 წელზე ნაკლები ვადით. უმჯობესია მოხდეს დაკონკრეტება და მიეთითოს, რა შემთხვევაში აქვს პარლამენტს აღნიშნული უფლებამოსილება;	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	47[2] მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ სააგენტოს უფროსი პერიოდულად აბარებს ანგარიშს სააგენტოს საბჭოს სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. უმჯობესია მოხდეს დაკონკრეტება, რა პერიოდულობაზეა საუბარი.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	47[2] მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულია, რომ სააგენტოს საბჭოს წევრობის ვადის ამოწურვის ან სააგენტოს საბჭოს წევრობისაგან გათავისუფლების შემთხვევაში სააგენტოს საბჭოს წევრებს 6 თვის განმავლობაში უნარჩუნდებათ არსებული თანამდებობრივი სარგოები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ცვლილებით არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში ხდება სააგენტოს საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენება ან როგორი იქნება აღნიშნული პროცესის პროცედურა.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	473 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ სააგენტოს უფროსს სააგენტოს საბჭოსთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს საბჭოს თავმჯდომარე. ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება თუ სააგენტოს საბჭოს წარდგინებით მას აირჩევს პარლამენტი. იგივე წესი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს თანამდებობიდან მისი გათავისუფლების მიმართაც. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა	47[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ;ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ სააგენტოს უფროსი თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლდება, თუ მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი შევა კანონიერ ძალაში. აღსანიშნავია, რომ, ნაცვლად სისხლის სამართლის დანაშაულისა, მითითება უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საქმეზე.	გათვალისწინებულია

კომიტეტი		
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	47[6] მუხლი შეეხება სააგენტოს საბჭოში საჩივრის განხილვის წესს. აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ სააგენტოს საბჭო ვალდებულია პირს აცნობოს წარდგენილ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება თავის მიერ დადგენილ ვადაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. შესაბამისად, სააგენტოზე, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოზე გავრცელდება კოდექსის 183-ე მუხლის მოქმედება, რომელიც შეეხება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადას და ადგენს მისი განხილვის ერთთვიან ვადას, ხოლო თუ ცვლილების მიზანია, სააგენტოს მიმართ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის აღნიშნული ვადისაგან განსხვავებული ვადის განსაზღვრა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც ნორმის წარმოდგენილი რედაქცია არ იქნება მისაღები და საჭირო იქნება საჩივრის განხილვის განსხვავებული ვადის კონკრეტულად მითითება. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ ვინაიდან სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელის მიმართაც ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, საჭირო არ არის ორგანულ კანონში იმ მუხლების შეტანა, რომლებიც შეეხება სააგენტოს საბჭოში საჩივრის განხილვის წესსა და სააგენტოს საბჭოს უარს საჩივრის განხილვაზე.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	48-ე მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულია, რომ სააგენტოს თავმჯდომარეს ან მოადგილეს **უფლება აქვს** მიიღოს გადაწყვეტილება ოფიციალური დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების შესახებ. **აღსანიშნავია,** რომ 47[1] მუხლის თანახმად სააგენტოს ჰყავს **უფროსი** და **არა** თავმჯდომარე.	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-20 პუნქტით ახალი რედაქციით ყალიბდება მოქმედი ორგანული კანონის 70-ე მუხლი, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ დებულებებს. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი 70-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა აღნიშნულ მუხლში არსებული ნორმები თავიანთი მნიშვნელობიდან და, ზოგიერთის შემთხვევაში, მუდმივი ხასიათიდან გამომდინარე უნდა დარჩეს გარდამავალი დებულებების შემადგენელ ნაწილად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტით წარმოდგენილი 70-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებში კეთდება მითითება გარკვეული ღონისძიებების განხორციელებაზე ამ ორგანული კანონის ამოქმედებიდან გარკვეულ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ 70-ე მუხლი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის გარდამავალი დებულებების მუხლია და არა წარმოდგენილი პროექტის გარდამავალი დებულებების. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლში უნდა გაკეთდეს მითითება არა ამ ორგანული კანონის ამოქმედებაზე, არამედ განსაზღვრულ თარიღზე.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-13 პუნქტით წარმოდგენილ 47-ე მუხლში საუბარია სააგენტოს ამოცანებზე, სადაც აღნიშნულია, რომ სააგენტოს ამოცანაა საფინანსო სექტორის ფინანსური მდგრადობისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა და რომ სააგენტო ვალდებულია ხელი შეუწყოს საფინანსო სისტემის სტაბილურ და ეფექტიან ფუნქციონირებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ვფიქრობთ, რომ სააგენტოს ზემოაღნიშნული ფუნქცია, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტო სსიპ-ის სახით იქმნება ეროვნულ ბანკთან, წინააღმდეგობაში მოდის ეროვნული ბანკისათვის კონსტიტუციით მინიჭებულ ფუნქციასთან. კერძოდ, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ყველა ინსტრუმენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის წარმართვა ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ცალსახად უნდა წარმოადგენდეს ეროვნული ბანკის უშუალო უფლებამოსილებას, რაც შეეხება, კონსტიტუციის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებას, რომლის თანახმად, ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას, აღსანიშნავია, რომ ხელის შეწყობა ხდება ორგანული კანონით განსაზღვრული სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების მეშვეობით. ინსტრუმენტები შესაძლებელია იყოს უშუალოდ ეროვნული ბანკის ხელში, ასევე, ინსტრუმენტების რაღაც ნაწილი ეროვნულ ბანკთან არსებული სსიპ-ის ხელში, რაღაც ნაწილზე კი ერთობლივად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. კომიტეტი მიიჩნევს, რომ კანონში ცალსახად უნდა იყოს განსაზღვრული რომელი ინსტრუმენტი ვის ხელში იქნება;	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის შემდეგ პუნქტს აქვს იგივე ნომერი. გარდა აღნიშნულისა, განსახილველ პუნქტში მითითებულია, რომ მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, რაც იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით არასწორია. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ცვლილება შედის ერთიდაიმავე მუხლის რამდენიმე პუნქტში და შესაცვლელი პუნქტები არ არის ერთმანეთის თანმიმდევრული, მითითება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: მე-8 მუხლის ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ ...“; ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „ ...“.;	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-10 პუნქტი ამოსაღებია, ვინაიდან იგივე ცვლილება შემოთავაზებულია მე-9 პუნქტითაც. ამოსაღებია აგრეთვე მე-11 **პუნქტიც, რომელიც** წარმოდგენილია პროექტის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის შემდეგ **ხელმეორედ წარმოდგენილ** მე-9 **პუნქტში;**	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის 34-ე პუნქტით ცვლილება შედის მოქმედი კანონის გარდამავალი დებულების მუხლში, რომელსაც შეეხება 39-ე მუხლი. ცვლილების თანახმად, მუხლის ბოლო წინადადებაში მითითებულია, რომ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში ... . აღსანიშნავია, რომ 39-ე მუხლი ძირითადი კანონის გარდამავალი დებულებაა და არა ცვლილების, შესაბამისად, მითითება უნდა მოხდეს კონკრეტულ თარიღზე და არა ამ კანონის ამოქმედებაზე. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი 39-ე მუხლი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა დარჩეს ორგანულ კანონში, ხოლო წარმოდგენილი ნორმა 39-ე მუხლს შესაძლოა დაემატოს **მე-2 პუნქტად**	გათვალისწინებულია
	შენიშვნები საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე ორგანული კანონის პროექტზე	

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტით წარმოდგენილ 99[1] მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტში, ნაცვლად საქართველოს ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებისა, უნდა მიეთითოს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრებზე	გათვალისწინებულია
	შენიშვნები „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტით წარმოდგენილი კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში, „სააგენტოს" ნაცვლად, უნდა ჩაიწეროს: „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო".	გათვალისწინებულია
	შენიშვნები „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის სათაურში ნაცვლად ცვლილებებისა უნდა ჩაიწეროს ცვლილება.	გათვალისწინებულია

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს ა-ზ ქვეპუნქტებად. „ა“ ქვეპუნქტში წარმოდგენილ უნდა იქნეს „ი“ და „კ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებები, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტში „ნ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილება	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	წარმოდგენილ პროექტში უმრავლეს შემთხვევაში ნაცვლად - „საქართველოსი“ მითითებულია „საქარტველო“ რაც საჭიროებს რედაქციულ ცვლილებას.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით წარმოდგენილია კანონის მე-2 მუხლი, რეალურად კი ცვლილება შედის მე-2 მუხლის მხოლოდ მე-3 პუნქტში. შესაბამისად წარმოდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ მე-3 პუნქტი.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-11 მუხლი, თუმცა არ არის მოცემული მუხლის სათაური.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა	პროექტით წარმოდგენილი 25-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შემდგომ მოცემული „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს.	გათვალისწინებულია

კომიტეტი		
	შენიშვნები „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტით წარმოდგენილ მე-5 მუხლის „ღ“ ქვეპუნქტში, ნაცვლად „საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“-სი, უნდა ჩაიწეროს „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“.	გათვალისწინებულია
	შენიშვნები „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „2) მე-3 მუხლის: ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. ... .“; 4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ... .“.	გათვალისწინებულია

	„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით პირველი მუხლის პირველ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში უნდა მოხდეს მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილების წარმოდგენა და „ბ“ ქვეპუნქტში კი „ქ“ ქვეპუნქტში შესატანი ცვლილებისა.	გათვალისწინებულია
	„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ცვლილებები შედის კანონის მე-3-მე-6 მუხლებში. მე-3-მე-5 მუხლები კანონის ერთ თავშია, ხოლო მე-6 მუხლი - კანონის სხვა თავში. იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ მუხლებში შესატანი ცვლილებების პროექტის ერთი პუნქტით წარმოდგენა.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით ახალი რედაქციით ყალიბდება კანონის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, როდესაც ცვლილება შედის მთლიან პუნქტში და არა მის რომელიმე ქვეპუნქტში, მაშინ ახალი რედაქციის შემთხვევაში პრიმა ქვეპუნქტების გამოყენება საჭირო აღარ არის;	არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან მითითებითი ნორმა შესაძლოა იყოს სხვა კანონში.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის მთლიან ტექსტში სრულად ხდება მითითება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოზე. უმჯობესია აღნიშნული ტერმინის ტექსტში პირველად გამოყენებისას მიეთითოს, რომ შემდგომ ტექსტში მასზე მითითებისას გამოყენებული იქნება სააგენტო;	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-13 პუნქტის პირველ წინადადებაში, ნაცვლად 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, უნდა მიეთითოს მე-5 პუნქტზე.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-14 პუნქტის პირველ წინადადება დასახვეწია რედაქციულად. ამავდროულად, პირველ პუნქტზე მითითება უნდა გაკეთდეს სიტყვიერად და არა ციფრის გამოყენებით.	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის 25-ე პუნქტით ცვლილება შედის არა მხოლოდ 45-ე- 48-ე მუხლებში, არამედ 44-ე მუხლშიც. შესაბამისად, უნდა მოხდეს მითითება, რომ ცვლილება შედის 44-ე-48-ე მუხლებში.	გათვალისწინებულია
	„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის მთლიან ტექსტში ზოგიერთ შემთხვევაში სრულად ხდება მითითება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი გამოყენებულია სააგენტო. უმჯობესია, აღნიშნული ტერმინის ტექსტში პირველად გამოყენებისას მიეთითოს, რომ შემდგომ ტექსტში მასზე მითითებისას გამოყენებული იქნება სააგენტო	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის 23-ე პუნქტით, ვინაიდან 24-ე მუხლი მთლიანად ახალი რედაქციით ყალიბდება, უნდა მიეთითოს მუხლის სათაურიც. იგივე შენიშვნა ვრცელდება 28-ე პუნქტით წარმოდგენილი 32-ე მუხლის მიმართ განსახორციელებელი ცვლილების მიმართაც	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	25-ე პუნქტით კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი მთლიანად ახალი რედაქციით ყალიბდება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის პრიმა ქვეპუნქტების გამოყენება	არ არის გათვალისწინებული, ვინაიდან მითითებითი ნორმა შესაძლოა იყოს სხვა კანონში
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	მე-40 პუნქტის პირველი წინადადება დასახვეწია რედაქციულად	გათვალისწინებულია

	„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ	
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტში არასწორი თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი რეგლამენტის ის მუხლები, რომლებშიც შედის ცვლილებები	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	წარმოდგენილი კანონპროექტი დასახვეწია იურიდიული ტექნიკისა და რედაქციული თვალსაზრისით	გათვალისწინებულია
ბანკების ასოციაცია	მიზანშეწონილია განისაზღვროს სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტების ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მთავრობის, პარლამენტის, ეროვნული ბანკისა და საბანკო **სექტორის** ჩართულობას. ასევე განსაზღვრავს სააგენტოს საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის **მინიმალურ** საკვალიფიკაციო **მოთხოვნებს**	გათვალისწინებულია
ბანკების ასოციაცია	**მნიშვნელოვანია** სააგენტოს **უფროსის** არჩევაში **მონაწილეობდეს** სააგენტოს **საბჭო** ან/და საქართველოს **პარლამენტი** და **მისთვის** **დადგინდეს** **მინიმალური** **საკვალიფიკაციო** **მოთხოვნები**	**გათვალისწინებულია**

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	შენიშვნები „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი პროექტზე	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით წარმოდგენილია პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქცია, რომელშიც ნაცვლად „იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას“, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას“;	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ1“ ქვეპუნქტი:“;	გათვალისწინებულია
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	პროექტის პირველი მუხლის მე-9 პუნქტში მითითებულია, რომ მე-7 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, თუმცა არ არის მოცემული მუხლის სათაური	გათვალისწინებულია

ბანკების ასოციაცია	მნიშვნელოვანია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტი და დადგინდეს საქართველოს საფინანსო სექტორში მუშაობის შეზღუდვა გარკვეული ვადით თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს წევრების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრაში უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს პარლამენტის ჩართულობა	გათვალისწინებულია
ბანკების ასოციაცია	მნიშვნელოვანია სააგენტოს მოხელეთა მიმართ დაწესდეს უფრო მაღალი სოციალური გარანტიები, ვიდრე ეს განსაზღვრულია პროექტში. კერძოდ, სააგენტოს მოხელეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა შეესაბამებოდეს ეროვნულ ბანკში არსებულ შრომის ანაზღაურების დონეს	გათვალისწინებულია
ბანკების ასოციაცია	დავის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრდეს სასამართლოში, როგორც ეს ეროვნული ბანკის მიმართ არის დადგენილი.	გათვალისწინებულია